თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

Erasmus+ გზამკვლევი

/ხშირად დასმული კითხვები/

ზოგადი ნაწილი

- **რა არის ერასმუს პროგრამა?**
  ერასმუსი 1987 წელს ევროკავშირის მიერ დაარსებული და სრულად დაფინანსებული სტუდენტთა და პერსონალის მობილობის ხელშემწყობი პროგრამაა. ერასმუს+ მიმდინარე პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცებულია 2027 წლამდე. თსკ-ის სტუდენტთა მობილობა ხორციელდება ICM (International Credit Mobility) თანამშრომლობის ფარგლებში.

- **როდის იმართება საინფორმაციო შეხვედრა გაცვლითი პროგრამების შესახებ?**
  საინფორმაციო შეხვედრა წელიწადში ორჯერ იმართება - სექტემბერში და იანვარში. ზუსტი თარიღის შესახებ შეხვედრამდე არანაკლებ 10 დღით ადრე მიიღებთ ინფორმაციას კონსერვატორიის ერასმუს ელ. ფოსტიდან - erasmus@tsc.edu.ge

- ***როგორ ვუკავშირდები საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს?***
  ელ.ფოსტაზე - erasmus@tsc.edu.ge / iveri.kekenadze@tsc.edu.ge;
  თქვენი ნებისმიერი წერილი, რომელიც უკავშირდება გაცვლით პროგრამებს, უნდა იყოს გამოგზავნილი პირადი თსკ ელ.ფოსტიდან (სახელი.გვარი@tsc.edu.ge);
  არ გამოიყენოთ სოციალური მედია გაცვლითი პროგრამების შესახებ შეკითხვებისთვის!

- **ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?**
  მობილობა ნებისმიერ საფეხურზე (ბაკალავრიატის მეორე კურსიდან) ნებისმიერ დისციპლინაშია (თუმცა შეიძლება პარტნიორებმა გამოყონ პრიორიტეტები) შესაძლებელი.

- **რა ხანგრძლივობით შემიძლია ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტების მობილობაში მონაწილეობა?**
  ხანგრძლივობა ერთი ციკლის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ფარგლებში შეადგენს: 3-12 თვეს (1 ან 2 სემესტრით).

- ***რას ანაზღაურებს ევროკავშირი პროგრამის ფარგლებში?***
  ყოველთვიურ სტიპენდიას და მგზავრობის ხარჯებს, უმეტეს შემთხვევებში კონსერვატორიის სტუდენტებისთვის ასევე ფარავენ სავიზო მოსაკრებლის ხარჯებსაც.

- **ამიღიარდება თუ არა უცხოეთში მოპოვებული კრედიტები თსკ-ში?**
  კი

- **სად ვნახო თსკ-ის პარტნიორი სასწავლებლების სია?**
  კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - http://tsc.edu.ge/index.php?m=954

- **განსხვავდება სტიპენდიის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით?**
  კი, იხილეთ ცხრილი:

• ჯგუფი	• ქვეყნები (გაწითლებულია თსკ-ის პარტნიორები)	• სტიპენდიის რაოდენობა
• ჯგუფი 1	• დანია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, ბრიტანეთი	• 900EUR
• ჯგუფი 2	• ბელგია, გერმანია, ავსტრია	• 850 EUR
• ჯგუფი 3	• ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი	• 750 EUR

მგზავრობის დაფინანსება:

• დისტანცია (კმ)	• თანხა (ევრო)
• 100 - 499	• 180 EUR
• 500 - 1999	• 275 EUR
• 2000 – 2999 თსკ-ის ყველა პარტნიორი ნორვეგიის გარდა	• 360 EUR
• 3000 – 3999	• 530 EUR

- **რა ძირითადი ეტაპები უნდა გავიარო ერასმუს+ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?**

სამი ეტაპი: ა) წინასწარი შერჩევა (პრესელექცია) თსკ-ში
ბ) საჭირო დოკუმენტაციის ევროპულ სასწავლებლებში გაგზავნა
გ) სავიზო პროცედურების გავლა

/დაწვრილებითი ინფორმაცია თითოეული ეტაპის შესახებ იხილეთ ქვემოთ/

- ***როდის ვაგზავნი საბუთებს 1 წლით (2 სემესტრით) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?***
  შემოდგომით ევროპულ სასწავლებელში გაცვლითი პროგრამით სწავლის გაგრძელების მსურველებმა განაცხადი უნდა გააკეთონ გაზაფხულის სემესტრში გამოცხადებულ შერჩევის ეტაპზე.

- ***როდის ვაგზავნი საბუთებს 1 სემესტრით (გაზაფხულის სემესტრში) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?***
  გაზაფხულზე ევროპულ სასწავლებელში გაცვლითი პროგრამით სწავლის გაგრძელების მსურველებმა განაცხადი უნდა გააკეთონ შემოდგომის სემესტრში გამოცხადებულ შერჩევის ეტაპზე.

- ***შემიძლია თუ არა 1 სემესტრით მიღებული სტიპენდიის გახანგრძლივება და მობილობის ავტომატურად გაგრძელება?***
  ავტომატურად ერასმუს+ პროგრამის გახანგრძლივება არ ხდება, თავიდან უნდა გაიაროთ ყველა ეტაპი.

- ***რომელი პლატფორმიდან ვაგზავნი საბუთებს უცხოურ სასწავლებლებში?***
  ძირითადად EASY პლატფორმიდან, რომელიც AEC - ევროპის კონსერვატორიებისა და მუსიკის აკადემიების ასოციაციის ქოლგის ქვეშ მუშაობს და აერთიანებს 300-ზე მეტ სახელოვნებო სასწავლებელს. (aec.dreamapply.com)

- ***რამდენ ევროპულ სასწავლებელში შემიძლია საბუთების გაგზავნა?***
  4 სასწავლებელში EASY პლატფორმიდან, ასევე იმ სასწავლებლებში, რომლებიც კონსერვატორიის პარტნიორები არიან, თუმცა არ სარგებლობენ EASY-ით.

პირველი ეტაპი - წინასწარი შერჩევა

- **ვინ უწევს კოორდინაციას წინასწარი შერჩევის პროცესს?**
  თსკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი (erasmus@tsc.edu.ge)
- ***როდის გამოცხადდება წინასწარი შერჩევა?***
  წელიწადში ორჯერ, შემოდგომის სემესტრში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პრესელექცია უნდა გაიაროთ იანვარში, ხოლო გაზაფხულის სემესტრში სემესტრში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პრესელექცია უნდა გაიაროთ სექტემბერში - დამატებითი ინფორმაცია კონკრეტულ თარიღზე მოგივათ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ელ.ფოსტიდან.
- ***რა დოკუმენტებია საჭირო პრესელექციის გასავლელად? !!!***
  ა) ცნობა აქტიური სტატუსის და სპეციალობის საგნებში დავალიანების არქონის შესახებ - ქართულად
  ბ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (იხ. http://www.tsc.edu.ge/index.php?m=956)
  გ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ***სად ვაგზავნი ამ დოკუმენტებს?***
  ყველა დოკუმენტს 1 მეილად აგზავნით შემდეგ მისამართზე: erasmus@tsc.edu.ge
- ***ვის უნდა მივმართო ცნობისთვის აქტიური სტატუსისა და სპეციალობის საგნებში დავალიანების არქონის შესახებ?***
  განცხადებას დაწერთ დეკანის (საშემსრულებლო ფაკულტეტი - თეა ბუაძე, კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი - მაია (მაკა) ვირსალაძე) სახელზე და აგზავნით კანცელარიაში (მეილზე - kantselaria@tsc.edu.ge), განცხადების დეკანებისთვის ცალკე გადაგზავნა არ არის საჭირო, ასევე არ არის საჭირო მათი ან საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის შეტყობინება თქვენი განცხადების შესახებ. პასუხს კანცელარიიდან მიიღებთ არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
- ***როგორ უნდა შევავსო სააპლიკაციო ფორმა?***
  შერჩევითი ეტაპის სააპლიკაციო ფორმა ივსება ინგლისურ ენაზე.
  ფორმის შევსება შესაძლებელია ელექტრონულად და ხელმოწერაც ასევე შესაძლებელია იყოს ელექტრონული. ჩამოტვირთეთ: http://www.tsc.edu.ge/index.php?m=956

თითოეული პუნქტის განმარტება:

PRELIMINARY APPLICATION FOR STUDENT EXCHANGE TO THE TSC's PARTNER INSTITUTIONS

PLEASE RETURN THE APPLICATION SIGNED TO THE INTERNATIONAL OFFICE BY THE DEADLINE(R-225).

Personal information and details on TSC-studies:

NAME სახელი და გვარი			DATE OF BIRTH AND IDENTITY CODE (დაბადების თარიღი და პირადი ნომერი)
STARTING YEAR AT TSC (კონსერვატორიაში სწავლის დაწყების წელი)	CURRENT PROGRAM AND YEAR OF STUDIES AT TSC მიმდინარე პროგრამა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა) და კურსი (პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე) კონსერვატორიაში	PROGRAM, IN WHICH THE EXCHANGE STUDIES WILL BE INCLUDED (BA, MA, DOCTORATE) ის პროგრამა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა) და კურსი (პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე), რომელზეც იქნებით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღებისას	
DEPARTMENT AND MAJOR SUBJECT ფაკულტეტი და სპეციალობა		TELEPHONE	EMAIL
PLEASE STATE BRIEFLY: WHY DO YOU WISH TO STUDY ABROAD? PROVIDE YOUR OWN COMMENTS ON THE PROGRESS OF YOUR STUDIES. რატომ გსურთ საზღვარგარეთ სწავლა?			
PLASE INDICATE WHICHLANGUAGECERTIFICATEV ARE YOU GOING TO PROVIDE WITH: მონიშნეთ როგორ დაადასტურებთ ინგლისური ენის ცოდნას - საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენთ თუ თსუ-ს გამოცდაში მიიღებთ მონაწილეობას? TOEFL/IELTC OR TSU LANGUAGE CENTER EXAM RESULT N.B. IF YOU ARE APPLYING FOR THE TSY LANGUAGE CENTER EXAM PLEASE REGISTER HERE			

EXCHANGE STUDY DESTINATIONS ჩამოწერეთ ის 3 სასწავლებელი, სადაც საბუთების გაგზავნა გსურთ (თანმიმდევრობა პრიორიტეტის მიხედვით) 1. 2. 3. PLEASE PRIORITISE THE DESTINATION AND THEIR ORDER OF PREFERENCE.	STUDY PROGRAMME ფაკულტეტის დასახელება პარტნიორ სასწავლებლებში 1. 2. 3.

LENGTH OF EXCHANGE STUDY PERIOD? მიუთითეთ სწავლის ხანგრძლივობა - შემოდგომის სემესტრი, გაზაფხულის სემესტრი თუ ორივე სემესტრი	• 1 SEMESTER • 2SEMESTER • ACADEMIC YEAR 2017-2018
STUDENT SIGNATURE სტუდენტის ხელმოწერა - შესაძლებელია იყოს ელექტრონული	PLACE AND DATE
ERASMSU COORDINATORS SIGNATURE არ არის საჭირო ამ გრაფის შევსება - როდესაც გადმოაგზავნით ერასმუს მეილზე სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ჩვენ თავად მოვაწერთ ხელს	PLACE AND DATE:

- **ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:**

ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება შესაძლებელია
ა) საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენით (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარებიდან გასულია არაუმეტეს 2 წელი)
-IELTS – Academic
an overall score of 6.5 and no section below 5.5
- TOEFL - Paper-based
Score of 4.5 (scale 1-6) in written test, total score of 575
- TOEFL - Internet-based
Score of 20 (scale 0-30) in written test, total score of 90
- Pearson PTE Academic
Score of 62 (writing 61)
- University of Cambridge ESOL Examinations (Cambridge ESOL)
Cambridge English certificate level C1, minimum score 180, or
Cambridge English: Advanced

ბ) **თსუ-ს უცხო ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაში (ინგლისური ენა B2) 71 ქულაზე მეტის დაგროვებით.**
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია უცხო ენის ინსტიტუციონალური ტესტირებისას თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც გულისხმობს იმას, რომ თსუ-ს მიერ დაგეგმილი ენის გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ თსკ-ის სტუდენტებს - ხოლო მიღებული დადებითი შედეგი საკმარისი იქნება პრესელექციის ეტაპზე მოთხოვნილი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაციისთვის. ტესტირება იმართება წელიწადში ორჯერ, მარტში და ოქტომბერში, თსუ-ის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკაში (მისამართი: უნივერსიტეტის ქუჩა 11)

ყველა კითხვა ტესტირებასთან დაკავშირებით იხილეთ თსუ-ს ვებ-გვერდზე - https://tsu.ge/assets/media/files/42/Outbound%20Mobilities/FAQ_%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1.%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

/შემდეგ კითხვებზე პასუხები საერთო/რელევანტურია თსკ-ის სტუდენტებისთვის

- რა არის ენის ინსტიტუციონალური ტესტირების მიზანი?;
- როდის ტარდება ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?;
- რომელ ენაში ტარდება ტესტირება?;
- ფასიანია თუ არა ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?;
- რამდენ ქულიანი ტესტი?
- რამდენი ქულა ითვლება გამსვლელად თსუ-ის მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფლების მისაღებად?
- გაიცემა თუ არა სერთიფიკატი ტესტირების წარმატებით გავლის [მინიმუმ 71 ქულა] შემთხვევაში?
- არის თუ არა შესაძლებელი რამდენიმე ენის ტესტირების ერთდროულად გავლა?
-თუ სტუდენტმა ინსტიტუციონალური ენის ტესტირება გაიარა მაგალითად შემოდგომის სემესტრში, აქვს თუ არა მას უფლება გაზაფხულის სემესტრშიც მიიღოს მონაწილეობა?
- რამდენ ხანს გრძელდება ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?
- შესაძლებელია თუ არა ტესტირების თარიღის და საათის ინდივიდუალურად არჩევა? შესაძლებელია თუ არა შედეგის გასაჩივრება?
- სად ტარდება ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?
- რა უნდა წარადგინოს სტუდენტმა ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე შესვლისას?/

- ***ვინ არის თავისუფალი თსუ-ს ენის გამოცდაზე გასვლისგან?***

  გამოცდისგან თავისუფალია მხოლოდ შემდეგი აპლიკანტები:

  1. ვისაც აქვს ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთოშიროსი სერთიფიკატი
  2. ვინც ჩააბარა თსუ-ში გამოცდა ოქტომბერში და მიიღო 71 ქულა ან მეტი
  3. ვინც უკვე იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით რომელიმე ევროპულ სასწავლებელში (ეს გამონაკლისი არ ეხება ბრიტანეთში გაცვლითი პროგრამით სარგებლობის მსურველებს)
  4. ვინც ბოლო 2 წლის მანძილზე სწავლობდა ინგლისურ ენაზე ყველა საგანს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

- ***ინგლისურის გარდა, შესაძლებელია სხვა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაციით პრესელექციის გავლა?***
  მხოლოდ გერმანულენოვან ქვეყნებში მობილობისთვის შესაძლებელია გერმანული ენის ცოდნის სერთიფიკატის გამოყენება.
  მხოლოდ ფრანგულენოვან ქვეყნებში მობილობისთვის შესაძლებელია ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის გამოყენება და ა.შ.
  ინგლისური ენის სერთიფიკატი ვალიდურია ყველა პარტნიორ სასწავლებელში მობილობისთვის.
- ***შემიძლია თუ არა ტესტირება გავიარო, თუმცა მიმდინარე სემესტრში არ გავაკეთო განაცხადი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?***
  კი, შესაძლებელია

- ***ვის შეუძლია ტესტირებაზე გასვლა?***
  თსკ-ის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს

- ***როგორ დავრეგისტრირდე ენის გამოცდისთვის?***
  erasmus@tsc.edu.ge-დან მიიღებთ წერილს რეგისტრაციის შესახებ და ელ. ფორმაში შევსებული ყველა სავალდებული გრაფის შემდეგ შეგეძლებათ წარმატებულად გაიაროთ რეგისტრაცია

- ***უნდა შევატყობინო თუ არა ვინმეს თუ დავრეგისტრირდი გამოცდაზე, თუმცა ტესტირებაზე მისვლას ვერ ვახერხებ?***
  აუცილებლად უნდა მიწეროთ წერილი თსკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს მეილზე - erasmus@tsc.edu.ge

- ***შემიძლია თუ არა ტესტის ნიმუშის ნახვა?***
  ტესტის ნიმუში შესაძლოა იყოს განთავსებული თსუ-ს ვებ-გვერდზე - tsu.ge
  კონსერვატორია ტესტის კონტენტსა და შემოწმებაზე არ არის პასუხისმგებელი.

- ***როგორ მივიღო ინფორმაცია შედეგების შესახებ?***
  ტესტირებიდან დაახლოებით 10 სამუშაო დღეში შედეგები თსუ-დან ეგზავნება კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს.
  თქვენი შედეგები ინდივიდუალურად დაგეგზავნებათ მითითებულ კონსერვატორიის ელ. ფოსტაზე (სახელი.გვარი@tsc.edu.ge)

- *რა ხდება პრესელექციის საბუთების გამოგზავნის შემდეგ?*
  თუ პრესელექციისთვის საჭირო დოკუმენტაცია სრულად გამოაგზავნეთ დედლაინამდე, თქვენი საბუთების ვალიდურობის და მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პრესელექციის შედეგად შერჩეულ აპლიკანტებს შემდეგი ნაბიჯების შესახებ გამოგიგზავნით საერთო წერილს.
  პრესელექციის შემდეგ თქვენ უნდა დაიწყოთ მზადება მეორე ეტაპისთვის.

მეორე ეტაპი - პარტნიორ სასწავლებლებში დოკუმენტაციის გაგზავნა.

- **რა დოკუმენტაცია მჭირდება ევროპულ სასწავლებლებში გასაგზავნად?**
  ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დეტალურად იხ. http://www.tsc.edu.ge/index.php?m=846) - დიახ, ეს სააპლიკაციო ფორმა განსხვავებულია პრესელექციის აპლიკაციისგან - აპლიკაცია ივსება ინგლისურ ენაზე.
  ბ) შევსებული სასწავლო ხელშეკრულება LEARNING AGREEMENT (დეტალურად იხ. http://www.tsc.edu.ge/index.php?m=846) აგზავნით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში - tamar.zhvania@tsc.edu.ge
  გ) პასპორტის/მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
  დ) Curriculum Vitae
  ე) სამოტივაციო წერილი
  ვ) ნიშნები ფურცელი/დიპლომის დანართი ან სწავლების საფეხურის/წინა საფეხურის დამადასტურებელი საბუთი
  ზ) აუდიო/ვიდეო ჩანაწერი (მასპინძელი უმაღლესის მოთხოვნების შესაბამისად - გადაამოწმეთ ინდივიდუალურად მათ ვებ-გვერდებზე - ძირითადად მოთხოვნაშია, 20 წუთი - პროგრამა აპლიკანტის არჩევანით)
  თ)უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი - არსებობის შემთხვევაში
  ი) ფოტოსურათი - (ელ. ვერსია) 3*4
  /თითოეულ დოკუმენტზე ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ/

- ყველა საბუთი უნდა ატვირთოთ DREAMAPPLY პორტალზე -დარეგისტრირდით https://aec.dreamapply.com/, MDW-ში მობილობის მსურველებმა: ვენა,

ავსტრია:https://www.mdw.ac.at/austauschstudium/bewerbungsverfahren/?l=en, კრაკოვის აკადემიაში მობილობის მსურველებმა საბუთები თსკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მეილზე უნდა გამოაგზავნოთ: erasmus@tsc.edu.ge

- **სასწავლო ხელშეკრულება - LA – Learning Agreement**
  - იხ. http://www.tsc.edu.ge/index.php?m=846
  - პასუხისმგებელი სასწავლო ხელშეკრულებასთან და კრედიტებთან დაკავშირებულ საკითხებზე არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, თამარ ჟვანიას tamar.zhvania@tsc.edu.ge უგზავნით კონკრეტულ დედლაინამდე ყველა სასწავლებლის სასწავლო ხელშეკრულებას (არა ერთიან დოკუმენტს, არამედ თუ ოთხ აკადემიაში აგზავნით 4 სხვადასხვა სასწავლო ხელშეკრულებას)
  - სასწავლო ხელშეკრულებათან და კრედიტებთან დაკავშირებით კავშირში ხართ თამარ ჟვანიასთან და არა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან;
  -სასწავლო ხელშეკრულებას ავსებთ მხოლოდ - BEFORE THE MOBILITY - ნაწილს მთლიანად, ხელმოწერების ჩათვლით, ხელს აწერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი

- ***სად უნდა მოვიძიო საგნების ჩამონათვალი?***
  ევროპული სასწავლებლების ვებ-გვერდებზე.
- ***რამდენი კრედიტი უნდა დავაგროვო 1 სემესტრის განმავლობაში?***
  დაახლოებით 30 კრედიტი, 1 აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი.
- **CV**
  მნიშვნელოვანია თქვენი აკადემიური თუ არააკადემიური გამოცდილება გეწეროთ, არ ჩაწეროთ არასწორი ინფორმაცია! - შეგიძლიათ გამოიყენოთ europass cv ფორმატი.
- **ჩანაწერი**
  შეიძლება აუდიოც, მაგრამ ძირითადად ითხოვენ ვიდეო ჩანაწერს, გადაამოწმეთ თითოეული ევროპული სასწავლებლის მოთხოვნა - ძირითადად სჭირდებათ 2-3 განსხვავებული სტილის ნაწარმოები, 20 წუთის ფარგლებში.
  ჩანაწერის მომზადების პროცესში მონაწილეობას არ იღებს თსკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.
- **ნიშნების ამონაწერი**
  დაგჭირდებათ ინგლისურ ენაზე, წერთ განცხადებას დეკანის სახელზე და აგზავნით კანცელარიაში (kantselaria@tsc.edu.ge). დოკუმენტს მიიღებთ თქვენივე მეილზე.

- **სამოტივაციო წერილი**
  dreamapply სისტემაში ჩამოწერილია ის კითხვები, რისი პასუხებიც უნდა ეწეროს თქვენს სამოტივაციო წერილში - ეცადეთ, რომ 1 გვერდი იყოს დაახლოებით - 1500-3000 სიმბოლო;
- **დედლაინები**
  აუცილებელია შეამოწმოთ თითოეული სასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად დაწესებული დედლაინი საბუთების მიღებისთვის მათსავე ვებ-გვერდებზე.

- **შერჩევა**
  სტუდენტის შერჩევა ხორციელდება ევროპული სასწავლებლის მიერ, არ მოქმედებს ქვედა ზღვარი თუ რომელი მიმართულების და რამდენი სტუდენტი უნდა შეირჩეს - შესაბამისად, ევროპული სასწავლებლები იტოვებენ უფლებას არ გასცენ სტიპენდია კონკრეტულ სემესტრში.

- **აპლიკაციის შესავსებად გამოიყენეთ:**
  -Erasmus PIC Number/ institutional code: 932283976;
  -Field of Education - ISCED Code5 - 0215: Music and performing arts;
  -Administrative unit – International Relations Office.
- გაითვალისწინეთ:
  -მიუხედავად იმისა, რომ ყველა დოკუმენტს აგზავნით EASY პლატფორმაზე, აუცილებელია, ერთ წერილში და ერთიან pdf დოკუმენტად გამოაგზავნოთ თქვენი დოკუმენტაცია საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ელ. ფოსტაზე erasmus@tsc.edu.ge;
  EASY სისტემაში უნდა დარეგისტრირდეთ კონსერვატორიის ელ. ფოსტით (სახელი.გვარი@tsc.edu.ge)

მესამე ეტაპი - სავიზო პროცედურები

სავიზო პროცედურების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპული სასწავლებლიდან ოფიციალურად მიიღებთ დასტურს, რომ ხართ შერჩეული გაცვლითი პროგრამისთვის, გააფორმებთ გრანტისა და სასწავლო ხელშეკრულებებს.

კონსერვატორიის როლი მესამე ეტაპზე შემოიფარგლება საელჩოებისთვის დაგეგმილი მობილობის დადასტურებით.
ამ ეტაპზე საჭიროა მჭიდრო კონტაქტი გქონდეთ როგორც ჩვენთან, ასევე მიმღები ევროპული სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან.

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად თსკ-ის სტუდენტებს 2021-2022 სასწავლო წლისთვის შემდეგ სასწავლებლებში შეუძლიათ განაცხადის გაკეთება:

- ი. ვიტოლსის სახელობის ლატვიის მუსიკის აკადემია (რიგა, ლატვია)
- სტანისლავ მონიუშკოს სახ. გდანსკის მუსიკის აკადემია (გდანსკი, პოლონეთი)
- კრაკოვის მუსიკის აკადემია (კრაკოვი, პოლონეთი)
- ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემია (ტალინი, ესტონეთი)
- ნორვეგიის მუსიკის აკადემია (ოსლო, ნორვეგია)
- სიბელიუსის აკადემია, ჰელსინკის ხელოვნების უნივერსიტეტი (ჰელსინკი, ფინეთი)
- Université Côte d'Azur (ნიცა, საფრანგეთი - მხოლოდ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მუსიკოლოგიის სტუდენტებისთვის)
- ლუბეკის მუსიკის აკადემია (ლუბეკი, გერმანია)
- RAMA მუსიკის სამეფო აკადემია (ორჰუსი, დანია)
- ბირმინგემის სამეფო კონსერვატორია (ბირმინგემი, ბრიტანეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი, კულტურის აკადემია (ესტონეთი)
- პარმის კონსერვატორია (პარმა, იტალია)
- ბრიუსელის სამეფო კონსერვატორია (ბრიუსელი, ბელგია)
- MDW მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტი (ვენა, ავსტრია)
- სიენას ჯაზის აკადემია (სიენა, იტალია)
- სენტ ლუისის მუსიკის კოლეჯი (რომი, იტალია)

გისურვებთ წარმატებულ მობილობას!

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი